

ახალი უმაღლესი სასწავლებლის წესდება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. წესდების მოქმედების სფერო

1. შპს. ახალი უმაღლესი სასწავლებლის (შემდგომში – სასწავლებელი) წინამდებარე წესდება არის სასწავლებლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პროცესის, სასწავლებელის მართვის პრინციპებისა და წესების განმსაზღვრელი ძირითადი სამართლებრივი აქტი.
2. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესდებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. სასწავლებლის სტატუსი

1. სასწავლებელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით ჩამოყალიბებული კერძო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების საფუძველზე.
2. სასწავლებელის სრული სახელწოდებაა: შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებელი.“ სასწავლებელის შემოკლებული სახელწოდებაა „აუსი“. სასწავლებელის მისამართია: 1. მესამე მასივი, მეექვსე კვარტალი, 7 ა კორპუსი, თბილისი, საქართველოს 2. გ.ჭყონდიდელის 26, თბილისი, საქართველო.

მუხლი 3. სასწავლებლის ხედვა, მისია, ღირებულებები:

3.1. სასწავლებლის ხედვა:

ახალი უმაღლესი სასწავლებლის ხედვაა, წარმოადგენდეს ევროპული სტანდარტების შესაბამის, სტუდენტზე ორიენტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც ექნება მაღალი ნდობა და საყოველთაო აღიარება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

3.2. სასწავლებლის მისია:

ახალი უმაღლესი სასწავლებელი წარმოადგენს სტუდენტისა და პერსონალის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის მისიაა :

- ა) ცოდნაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი განათლების, უნარ-ჩვევების, დემოკრატიული ღირებულებებისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე სპეციალისტების მოამზადება;
- ბ) სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, მათი პიროვნული პოტენციალის რეალიზების, შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;
- გ) ცვალებადი საზოგადოებრივი და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, მათი შემდგომი დასაქმების მიზნით;
- დ) სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა;
- ე) საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტისათვის დარგის ხარისხიანი ცოდნის მიწოდება და საბაზისო კვლევითი უნარების გამომუშავება, რაც უზრუნველყოფს შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

3.3. სასწავლებლის ღირებულებებია:

- ა) კეთილსინდისიერება

- ბ) უწყვეტი განვითარებისკენ სწრაფვა
- გ) აკადემიური თავისუფლება
- დ) გამჭვირვალობა
- ე) სამართლიანობა და თანასწორუფლებიანობა

მუხლი 4. სასწავლებლის მიზნები

სასწავლებლის მიზანია:

1. მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება;
2. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო თანამედროვე გარემოს შექმნა;
3. სტუდენტათვის, პოტენციურ დამსაქმებელთა და შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება;
4. სასწავლო პროგრამების განხორციელების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისა და სწავლების უახლესი მეთოდოლოგიის დანერგვა;
5. სასწავლებელში ბაკალავრიატის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა, მათ გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა და განხორციელება;
6. სასწავლო პროცესში უცხოელი კვალიფიციური პერსონალის ჩართვა;
7. მუდმივად განახლებადი და მოცულობითი საბიბლიოთეკო მომსახურება, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალისთვის თანამედროვე ლიტერატურით და ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკის შეთავაზება
8. სასწავლებლის ინტეგრაცია მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში, საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი გაცვლითი პროგრამების განხორციელება და მათი გამოცდილების გაზიარება;
9. სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის შეღავათიანი სწავლების უზრუნველყოფა და შესაბამისი სასწავლო პირობებისა და გარემოს შექმნა;
10. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
11. სტუდენტთა და აკადემიურ პერსონალთა მობილობის ხელშეწყობა-წახალისება.

თავი II. სასწავლებლის მართვა

მუხლი 5. სასწავლებლის მართვის ორგანოები და სტრუქტურული ერთეულები

1. სასწავლებლის მართვის ორგანოებია:

- ა) აკადემიური საბჭო;
- ბ) რექტორი;
- გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულებია:

ფაკულტეტი/ფაკულტეტები, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ბიბლიოთეკა, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახური, საფინანსო სამსახური, სამეურნეო-ტექნიკური რესურსების სამსახური, კანცელარია, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური, სპორტისა და კულტურის სამსახური, უწყვეტი განათლების ცენტრი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კურსდამთავრებულთა კლუბი.

3. ფაკულტეტის მართვის ორგანოა ფაკულტეტის საბჭო და დეკანი.

4.მართვის ორგანოები და სტრუქტურული ერთეულები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ ამ წესდების და შესაბამისი ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებების / მათი საქმიანობის მარეგულირებელი სხვა აქტების საფუძველზე. მათ აარსებს ან აუქმებს სასწავლებლის რექტორი.

მუხლი 6. სასწავლებლის მართვის პრინციპები

1.სასწავლებელი უზრუნველყოფს:

- ა) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას;
- ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში;
- გ) თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;
- დ) არჩევნებისა და კონკურსების სამართლიანობას, გამჭვირვალობას და საჯაროობას.

მუხლი 7. აკადემიური საბჭო

- 1.სასწავლებლის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომელიც თავის საქმიანობას განახორციელებს წინამდებარე წესდებისა და აკადემიური საბჭოს დებულების საფუძველზე.
- 2.აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი და აკადემიური საბჭოს წევრები, რომლებიც აირჩევიან ფაკულტეტის/ფაკულტეტების საბჭოს მიერ; აკადემიურ საბჭოში აირჩევა მხოლოდ სასწავლებლის პროფესორი და ასოცირებული პროფესორი.

მუხლი 8. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

- 1. შეიმუშავებს და დაამტკიცებლად წარუდგენს რექტორს სასწავლებლის განვითარების სტრატეგიულ გეგმებს;
- 2. ხელს უწყობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობას, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის გაფართოებას;
- 3. ადგენს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების (ECTS კრედიტების) აღიარების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა წესებს;
- 4. განსაზღვრავს პროფესორის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას, განსაზღვრავს დატვირთვის ფორმებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სასწავლებლის რექტორს;
- 5. ფაკულტეტის წარდგინებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით განიხილავს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს;
- 6. შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს სასწავლებლის ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულებას;
- 7. შეიმუშავებს სასწავლებლის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს, სტუდენტის ეთიკის კოდექსს, უსაფრთხოების და სხვა წესს და დასამტკიცებლად წარუდგენს სასწავლებლის რექტორს;
- 8. ადგენს აკადემიური თანამდებობის დაკავების წესს;
- 9. ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და სასწავლებლის წესდებით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 9. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მუშაობის წესი

- 1. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს მდივანი.
- 2. აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს სასწავლებლის რექტორი.
- 3. აკადემიური საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. აკადემიური საბჭოს სხდომა მოიწვევა რექტორის ინიციატივით ან აკადემიური საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის მოთხოვნით.
- 4. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით.

- აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ ფორმდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 10. აკადემიური საბჭოს არჩევის წესი

- აკადემიური საბჭოს არჩევნები ტარდება სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით.
- აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან ფაკულტეტის საბჭოს მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ღია კენჭისყრით. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მას ესწრება ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
- აკადემიურ საბჭოში აირჩევა მაქსიმუმ 7 წევრი; საბჭოს მინიმალურ რაოდენობას განსაზღვრავს სასწავლებლის რექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით;
- აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა სასწავლებლის სრული ან ასოცირებული პროფესორი.
- აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა განისაზღვრება 4 წლით.

მუხლი 11. სასწავლებლის რექტორი

- რექტორი არის სასწავლებლის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საზოგადოების დირექტორი.
- რექტორი არის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს სასწავლებელს ქვეყნის შიგნით და გარეთ ურთიერთობებში, რისთვისაც უფლებამოსილია სასწავლებლის სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები. რექტორი განახორციელებს სასწავლებლის საერთო ხელმძღვანელობას და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს.
- რექტორი მოქმედებს წინამდებარე წესდების შესაბამისად მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 12. სასწავლებლის რექტორის უფლებამოსილება

- ანაწილებს ფუნქციებს სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს მათზე თავისი უფლებამოსილების დელეგირებას;
- გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;
- კოორდინაციას უწევს სასწავლებლის საერთაშორისო კავშირებსა და ურთიერთობებს;
- ამტკიცებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს;
- ამტკიცებს სასწავლებლის განვითარების სტრატეგიულ გეგმებს;
- განსაზღვრავს სწავლის საფასურს;
- ამტკიცებს პროფესორის დატვირთვის ფორმებს;
- ამტკიცებს სასწავლებლის ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულებას;
- ამტკიცებს სასწავლებლის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს, სტუდენტის ეთიკის კოდექსს, უსაფრთხოების და სხვა წესს;
- ქმნის საკონკურსო კომისიებს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად;
- აცხადებს აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსს;
- ამტკიცებს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი კონკურსის ჩატარების კრიტერიუმებს;
- გამოსცემს სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;
- ამტკიცებს სასწავლებლის ბიუჯეტს;
- ნიშნავს სტიპენდიებს წარჩინებული სტუდენტებისათვის;
- ნიშნავს და ათავისუფლებს შესაბამის თანამდებობაზე პერსონალს;

17. ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 13. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. სასწავლებლის საგანმანათლებლო და კვლევითი მუშაობა, აგრეთვე, მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხი ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას. ამ მიზნით, იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს წინამდებარე წესდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად.
2. სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:
 - ა) ხელს უწყობს სასწავლებლის ინტეგრაციას უმაღლესი განათლების საერთო ევროპულ სივრცეში და ბოლონის პროცესის პრინციპების განხორციელებას;
 - ბ) ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით;
 - გ) ახორციელებს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებებს;
 - დ) შეიმუშავებს სასწავლებელში მიმდინარე სასწავლო და კვლევითი პროცესების ხარისხის შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მეთოდებს;
 - ე) სისტემატურად აფასებს სასწავლებელში მიმდინარე სასწავლო და კვლევითი პროცესების ხარისხის, ასევე პერსონალის განვითარებას;
 - ე) მონაწილეობს სტუდენტთა მობილობის რეგულირების პროცესში;
 - ვ) უზრუნველყოფს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებისათვის თვითშეფასების მომზადებას;
 - ზ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.
3. სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორი.

თავი III. სასწავლებლის ფაკულტეტი(ებ)ი

მუხლი 14. ფაკულტეტი(ებ)ი

1. სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ფაკულტეტი;
2. გადაწყვეტილებას ფაკულტეტის შექმნის ან გაუქმების შესახებ იღებს რექტორი.

მუხლი 15. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის საბჭო არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს ფაკულტეტის მართვას.
2. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა წარმომადგენლები.

მუხლი 16. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

ფაკულტეტის საბჭო:

1. განსაზღვრავს ფაკულტეტის საქმიანობის ძირითად მიზნებს, მიმდინარე ამოცანებსა და საქმიანობის

პრიორიტეტებს;

2. შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტის აუცილებელ ხარჯებთან დაკავშირებით და წარუდგენს სასწავლებლის რექტორს;
3. შეიმუშავებს და წარუდგენს სასწავლებლის აკადემიურ საბჭოს საგანმანათლებლო პროგრამებს;
4. შეიმუშავებს ფაკულტეტის დებულებას და წარუდგენს სასწავლებლის აკადემიურ საბჭოს;
5. ღია კენჭიყრით ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს მდივანს;
6. ისმენს დეკანის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;
7. პროგრამის დასრულების შემდგომ, ანიჭებს შესაბამის კვალიფიკაციებს;
8. ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 17. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაციული ხელმძღვანელია დეკანი, რომელიც თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს და წარმართავს ფაკულტეტის მიმდინარე საქმიანობას.
2. ფაკულტეტის დეკანს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავსუფლებს სასწავლებლის რექტორი.

მუხლი 18. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილება

ფაკულტეტის დეკანი:

1. მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფაკულტეტის მიმდინარე საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
2. წარმოადგენს ფაკულტეტის საბჭოს სასწავლებლის შიგნით და გარეთ;
3. კოორდინაციას უწევს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო მუშაობას;
4. შეიმუშავებს რეკომენდაციებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით;
5. თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს, სასწავლებლის რექტორის წინაშე; აგრეთვე ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;
6. მეთვალყურეობს და ზედამხედველობს ფაკულტეტზე დასაქმებულთა მიერ უფლებამოსილებების განხორციელებას, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებას;
7. ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

თავი IV. სასწავლებლის პერსონალი

მუხლი 19. სასწავლებლის პერსონალი

1. სასწავლებელში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები;
2. პერსონალის წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმები განსაზღვრულია სასწავლებლის შინაგანაწესით და ეთიკის კოდექსით.

მუხლი 20. სასწავლებლის აკადემიური პერსონალი

1. სასწავლებლის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.
2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.
3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.
4. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

მუხლი 21. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებული წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.
3. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს სასწავლებლის რექტორი.

მუხლი 22. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული პროფესიული ან / და სამეცნიერო მიღწევები და რომელიც აკმაყოფილებს ამ წესდებით განსაზღვრულ პირობებს. პირი პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ აირჩევა. პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ამ წესდებით დადგენილი წესით ატესტაციის გავლას.
2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ამ წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით.
4. ასისტენტის თანამდებობაზე ამ წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით.
5. შესაძლებელია პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

მუხლი 22¹. პროფესორის ატესტაცია

1. პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას. ატესტაცია ტარდება ამისათვის რექტორის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისიის/კომისიების მიერ.
2. ატესტაცია ტარდება 2 ეტაპად - განხორციელებული აკადემიური საქმიანობის შეფასება და გასაუბრება. პროფესორის აკადემიური საქმიანობის შეფასება ეფუძნება აკადემიური პერსონალის მიერ შესასრულებელი საქმიანობისათვის სასწავლებლის მიერ დადგენილი პირობების შემცველ სამართლებრივ აქტს.
3. ატესტაციის შედეგად შესაბამისი კომისია თითოეულ პროფესორზე ადგენს დასკვნას და აკადემიური საბჭოს წინაშე, ატესტაციის შედეგებზე დაყრდნობით, შუამდგომლობს პროფესორი დარჩეს თუ გათავისუფლდეს მის მიერ დაკავებული თანამდებობიდან.
4. ატესტაციის ჩატარების ერთიან წესსა და პირობებს შეიმუშავებს რექტორი, ფაკულტეტთან/ფაკულტეტებთან შეთანხმებით და განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
5. ატესტაციის ჩატარების ერთიან წესსა და პირობებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს რექტორი.

მუხლი 23. აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი

1. აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება სამართლებრივი აქტით, სადაც დეტალურადაა მოცემული კონკურსთან დაკავშირებული ყველა საკითხი;
2. აკადემიური პერსონალის არჩევნებს ნიშნავს სასწავლებლის რექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს; არჩევნების დანიშვნის შესახებ ბრძანება და საინფორმაციო მასალები საჯარო გაცნობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით, განთავსდება სასწავლებლის საინფორმაციო სტენდზე და სასწავლებლის ვებ გვერდზე კონკურსანტების საბუთების მიღებამდე 1 თვით ადრე.
ინფორმაციაში აღინიშნება რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადებების მიღების ვადები, კონკურსის პირობები, წარმოსადგენ დოკუმენტაციათა ნუსხა, არჩევნების თარიღი და სხვა.
3. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა განთავსდეს სასწავლებლის ვებ-გვერდზე, გამოქვეყნდეს ბეჭდით პრესაში და საბუთების მიღების ვადის ამოწურვამდე განთავსდეს სასწავლებელში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე. მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.
განცხადებაში აღინიშნება კონკურსანტების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადების მიღების ბოლო ვადა, წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა და კონკურსის შედეგების გამოქვეყნების თარიღი.
საკონკურსო განაცხადი შესაძლებელია მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - ა) აკადემიური თანამდებობის დასახელება;
 - ბ) წარსადგენი დოკუმენტები;
 - გ) კონკურსანტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
 - დ) სხვა დამატებითი ინფორმაცია;
 - ე) საკონტაქტო ინფორმაცია;
4. აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს:
 - ა) კონკურსანტის დოკუმენტაციის განხილვა-შერჩევა;
 - ბ) გასაუბრება, რის შემდეგაც ხდება შედეგების გამოქვეყნება.

მუხლი 24. აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი

სასწავლებლის აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლა;
- გ) სასწავლებლის შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;
- დ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

მუხლი 25. აკადემიური/მოწვეული პერსონალის შრომითი ურთიერთობები

აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 26. აკადემიური/მოწვეული პერსონალის უფლებები

აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს უფლება აქვს:

1. მონაწილეობა მიიღოს სასწავლებლის მართვაში;
2. დამოუკიდებლად განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
3. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსები) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

4. განახორციელოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებები.

მუხლი 27. აკადემიური/მოწვეული პერსონალის ვალდებულებები

აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია:

1. დაიცვას სასწავლებლის წესდების მოთხოვნები;
2. დაიცვას სასწავლებლის შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის მოთხოვნები;
3. შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

მუხლი 28. სასწავლებლის ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. სასწავლებლის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის უფროსი, ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე, სასწავლებლის ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსი, ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, სპორტისა და კულტურის სამსახურის უფროსი, საფინანსო სამსახურის უფროსი, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, კანცელარიის უფროსი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.
2. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო განრიგით გათვალისწინებული, სასწავლებლის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები.
3. სასწავლებელ უფლებამოსილია ამ წესდებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

თავი V. სტუდენტი

მუხლი 29. სტუდენტის უფლებები

1. სასწავლებლის სტუდენტს უფლება აქვს:
 - ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
 - ბ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;
 - გ) სასწავლებლის შინაგანაწესითა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით დადგენილი წესით, თანაბარ პირობებში ისარგებლოს სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
 - დ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნას სტუდენტურ თვითმმართველობაში და ფაკულტეტების წარმომადგენლობით ორგანოებში;
 - ე) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
 - ვ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
 - ზ) საქართველოს კანონმდებლობისა და სასწავლებლის წესდების შესაბამისად, სახელმწიფოსგან, სასწავლებლისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
 - თ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;

- ი) მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
 - კ) პერიოდულად შეაფასოს სასწავლებლის აკადემიური პერსონალის მუშაობა;
 - ლ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;
 - მ) ისარგებლოს შიდა და გარე მობილობის უფლებით კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - ნ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებები.
2. სასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის აწესებს შეღავათებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, რაც შეიძლება გამოიხატოს მათთვის სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ინდივიდუალური მომსახურების, ფინანსური დახმარების გაწევის, თუ სხვა შეღავათების დადგენაში.

მუხლი 30. სტუდენტის ვალდებულებები

სტუდენტი ვალდებულია, სასწავლებლის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის სასწავლო კურსი, რომელიც აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა; დაიცვას სასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება, სასწავლებლის წესდება, შინაგანაწესი, სტუდენტის ეთიკის კოდექსი და სხვა სამართლებრივი აქტები.

მუხლი 31. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა

სტუდენტის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სასწავლებლის შინაგანაწესითა და სტუდენტის ეთიკის კოდექსით.

მუხლი 32. სტუდენტური თვითმმართველობა

1. სასწავლებელში იქმნება სტუდენტების მიერ არჩეული სტუდენტური თვითმმართველობა.
2. სტუდენტური თვითმმართველობა:
 - ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას;
 - ბ) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას სასწავლებლის მართვაში;
 - გ) ირჩევს წარმომადგენელს ფაკულტეტის საბჭოში;
 - დ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;
 - ე) შეიმუშავებს წინადადებებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;
 - ვ) ახორციელებს კანონმდებლობითა და თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

მუხლი 33. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - ა) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
 - ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
 - გ) ფინანსური დავალიანება;
 - დ) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ე) სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევა.

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.

3. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტი სწავლას აგრძელებს ახალი ხელშეკრულების საფუძველზე იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 34. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) პირადი განცხადება;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;

ე) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;

ვ) გარდაცვალება.

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები, წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VI. აკადემიური ხარისხი

მუხლი 35. აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. აკადემიურ ხარისხს სასწავლებლის ფაკულტეტის საბჭო ანიჭებს პროგრამის ფარგლებში სავალდებულო კომპონენტების დაძლევის და დაგროვილი კრედიტების იმ რაოდენობის საფუძველზე, რომელიც საკმარისია ბაკალავრიატის საფეხურის დასასრულებლად.

2. ბაკალავრიატის საფეხურის დასრულების შემდეგ, სასწავლებელი გასცემს სათანადო დიპლომს და დიპლომის დანართს.

თავი VII. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 36. სასწავლებლის წესდების მიღების, შეცვლისა და გაუქმების უფლებამოსილება

სასწავლებლის წესდების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ, სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება აკადემიური საბჭოს სრული შემადგელობის ნახევარზე მეტი, მიღებული გადაწყვეტილება მტკიცდება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.